ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 39 / 2000161117
(საექსპერტო მომსახურების შესახებ)

ბათუმი 14 თებერვალი 2017 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი (შემდგომში - მიმწოდებელი) განყოფილების უფროსის ირმა ბოლქვაძის სახით (ბიუროს უფროსის 07.02.2017 წლის №25§12 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში) და მეორეს მხრივ **შუახევის მუნიციპალიტეტის** გამგეობა (შემდგომში-შემსყიდველი) **გამგებელის ტარიელ ებრალიძის** სახით, საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ პირველი მუხლის მე-3[1] მუხლის „ტ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების რეგულირების სამართლებრივი საფუძველი

მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები ძირითადად რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე – 633-ე, 636-ე – 638-ე, 642-ე – 645-ე, 647-ე – 649-ე მუხლებით; "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფებით; „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" ბიუროს უფროსის 2013 წლის 30 აპრილის №81§2 ბრძანებით; აგრეთვე ამ ხელშეკრულებით.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული **საინჟინრო ტექნიკური** საექსპერტო მომსახურების გაწევა, ექსპერტის დასკვნის ან აქტის დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ გაცემა, კერძოდ სოფელ ინწკვირეთის მთა გორის ძირიდან სოფელ ჩანჩხალოს და ნიგაზეულის წყალმომარაგების მაგისტრალის პროექტის და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის ჩატარება.

მუხლი 4. საექსპერტო მომსახურების ვადა

1. მიმწოდებელი საექსპერტო კვლევას/გამოკვლევას იწყებს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენის დღიდან. დასკვნა/აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ გაიცემა 30 სამუშაო დღის ვადაში.
2. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო მოსახურება ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული საკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას და ნიმუშის აღებას, საექსპერტო მომსახურების ვადის ათვლა იწყება შემსყიდველის მომართვის დღიდან 30 სამუშაო დღის ვადაში.
3. საექსპერტო კვლევის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, საექსპერტო მომსახურების აუცილებელი გონივრული ვადა ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული ბიუროს მომსახურების ტარიფების №№148, 375, 377, 380, 381, 392-398 კოდებით გათვალისწინებულ საექსპერტო მომსახურებაზე.

მუხლი 5. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მომსახურების ტარიფების თანახმად ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად.

2.სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **20 500 (ოცდათას ხუთასი) ლარს**.

3. შემსყიდველი გაეცნო ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული, შესაბამისი საექსპერტო ან სპეციალური სამუშაოების ღირებულებას (რასაც ადასტურებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით), რომელსაც შემსყიდველი იხდის ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორებით, ექსპერტის მიერ ექსპერტის დასკვნაზე ხელმოწერის შესრულებისა და შემსყიდველისათვის სათანადო წესით (მოკლე სატელეფონო შეტყობინებით ან სხვაგვარი წესით) ექსპერტის დასკვნის მომზადების შესახებ ინფორმაციის მიწოდებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) ხელი შეუწყოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაში;

გ) სრულყოფილი სახით წარმოადგინოს საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალები ან/და უზრუნველყოს ექსპერტის ან სპეციალისტის დაშვება ობიექტზე.

2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება.

3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველი **2017 წლის 05 იანვრის №07/32** (ბიუროს რეგისტრაციის №1000090417) წერილობითი მომართვის საფუძველზე, გაუწიოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული **საინჟინრო-ტექნიკური** საექსპერტო მომსახურება.

ბ) საექსპერტო კვლევის ჩასატარებლად საჭირო მასალები მიიღოს და ჩაიბაროს კანონით დადგენილი წესით;

გ) ხარისხიანად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაო მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში;

დ) გადასცეს შემსყიდველს საექსპერტო სამუშაო (დასკვნა) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გადაცემის (მათ შორის ელექტრონული ფორმით) შემდეგ;

ე) შემსყიდველის მიერ საკვლევი მასალის/ობიექტის წარმოუდგენლობის ან არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველის მომართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მოითხოვოს საჭირო მასალა/ობიექტი;

ვ) მოთხოვნა საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენაზე განახორციელოს: წერილობითი ფორმით; ტელეფონით (სატელეფონო საუბარი ექსპერტის მიერ დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი ოქმის შედგენით); ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით (ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით ან შესაბამისი ოქმის შედგენით.

ზ) თუ საექსპერტო მომსახურება ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული გამოსაკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას/ნიმუშის აღებას, მიმწოდებელი ვალდებულია კვლევის დაწყებიდან გონივრულ ვადაში შეუთანხმოს შემსყიდველს ობიექტის დათვალიერების/კვლევის/ნიმუშის აღების თარიღი და დრო.

თ) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში საექსპერტო მომსახურების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ბიუროს უფროსის ბრძანების საფუძველზე გააგრძელოს საექსპერტო მომსახურების ვადა.

ი) შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვალდებულია ამ მუხლის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს: წერილობითი ფორმით; ტელეფონით (სატელეფონო საუბარი დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი ოქმის შედგენით); ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით (ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით ან შესაბამისი ოქმის შედგენით).

კ) დაიცვას გამოკვლევის შესრულების (საექსპერტო კვლევის) საფუძველზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;

ბ) შემსყიდველის მიერ 10 სამუშაო დღეში, საექსპერტო მომსახურებისთვის აუცილებელი ობიექტის/მასალის წარმოუდგენლობის/არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, შეადგინოს აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ ან შეწყვიტოს ექსპერტიზის წარმოება.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, აგრეთვე ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ან საკუთარი ნებით ხელშეკრულებიდან გასვლისას, თუ ამ ქმედებამ მეორე მხარეს მიაყენა მატერიალური ზიანი.

2. თუ შემსყიდველი უარს აცხადებს მიმწოდებლის მიერ ჩატარებული სამუშაოს გაგრძელებაზე ან მომზადებული საექსპერტო დასკვნის მიღებაზე, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული კვლევის საფასურის გადახდისაგან

3. თუ მიმწოდებელი თავისი ბრალით, უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ კვლევის შესრულების ვადას და ამით შემსყიდველს მიადგება მატერიალური ზიანი, მიმწოდებელი პასუხს აგებს მიყენებული მატერიალური ზიანისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, სამართალდამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, მეორე მხარის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კონკრეტულად გაწეული მომსახურეობის ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

ა) მხარეების მიერ დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე;

ბ) შემსყიდველი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

3. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა (ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეცვლა, გაუქმება) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

2. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს გარიგებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

3. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 11. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ საერთო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 13. სხვა პირობები

1. ხელშეკრულება შედგენილია სამ პირად და სამივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

2. შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით მოწესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

3. დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების შემთხვევაში ვადების ათვლა განისაზღვრება „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ ბიუროს უფროსის 2013 წლის 30 აპრილის №81§2 ბრძანების შესაბამისად.

4. ხელშეკრულებას დანართის სახით ერთვის ბიუროს უფროსის 2013 წლის 30 აპრილის №81§2 ბრძანება - „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ

ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ (ბრძანებაში შეტანილი ყოველი ცვლილების შესახებ შემსყიდველს ეცნობება დამატებით).

მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი	შემსყიდველი
სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი	**შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა**
მიმღები ბანკი : სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:707767126 ს/კ: 204852089	ს/კ 247 865 145 მის: დაბა შუახევი ტელ: 577 525 757
დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი ირმა ბოლქვაძე _____	**გამგებელი** **ტარიელ ებრალიძე** _____

ლ ე ვ ა ნ ს ა მ ხ ა რ ა უ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №81 ⁄ 2

თბილისი

30 04 2013 წ.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის № 171 დადგენილების მე-2 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების თანდართული წესი;

ბ) საექსპერტო მომსახურების სახეობები, რომელთა საექსპერტო კვლევის ვადა განისაზღვრება გონივრული ვადით (დანართი №1);

გ) დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების შესრულების ვადები (დანართი №2);

დ) საექსპერტო მომსახურების სახეობები, რომელთა მიმართ არ ხორციელდება დაჩქარებული საექსპერტო მომსახურება (დანართი №3).

ე) საექსპერტო მომსახურების სახეობები, რომელთა საექსპერტო კვლევის ვადა განისაზღვრება 45 სამუშაო დღით (დანართი №4)

2. დაევალოს ადმინისტრაციას ამ ბრძანების სტრუქტურული ქვედანაყოფების/ტერიტორიული ორგანოებისათვის გაცნობა.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" ბიუროს უფროსის 2012 წლის 12 სექტემბრის N166 §1 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია 2013 წლის 01 მაისიდან.

გიორგი ხიზანიშვილი

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესი

1. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში საექსპერტო კვლევა/გამოკვლევა იწყება დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენის დღიდან. დასკვნა/აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ გაიცემა 30 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არა დაჩქარებული საექსპერტო მომსახურებისთვის განსაზღვრულ ვადაში.

2. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო მომსახურება ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული საკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას და ნიმუშის აღებას, საექსპერტო მომსახურების ვადის ათვლა იწყება დამკვეთის მომართვის დღიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

3. საექსპერტო კვლევის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, საექსპერტო მომსახურების აუცილებელი გონივრული ვადა ვრცელდება დანართი №1-ით გათვალისწინებულ მომსახურებაზე.

4. დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების ვადა აითვალოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენის, ასევე ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული ობიექტის კვლევა/დათვალიერებიდან და ნიმუშის აღებიდან დანართ N2-ში მითითებულ საექსპერტო მომსახურებისათვის განსაზღვრულ ვადაში.

5. განსაკუთრებულ შემთხვევებში, დანართ №2-ში მითითებული საექსპერტო მომსახურებისათვის განსაზღვრული ვადა, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გაგრძელდეს 5 სამუშაო დღით.

6. დაჩქარებული საექსპერტო მომსახურება არ ვრცელდება დანართი №3-ით გათვალისწინებულ საექსპერტო მომსახურებაზე.

7. საექსპერტო კვლევის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, საექსპერტო მომსახურების 45 სამუშაო დღიანი ვადა აითვლება საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენის დღიდან და გავრცელდება დანართი №4-ით გათვალისწინებულ მომსახურებაზე.

8. დამკვეთის მიერ საკვლევი მასალის/ობიექტის წარმოუდგენლობის ან არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, ექსპერტი ვალდებულია, დამკვეთის მომართვიდან 5 სამუშაო დღის, ხოლო დაჩქარებული საექსპერტო მომსახურებისას - მომართვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, მოითხოვოს საჭირო მასალა/ობიექტი.

9. მოთხოვნა საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენაზე შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) წერილობითი ფორმით;

ბ) ტელეფონით (სატელეფონო საუბარი ექსპერტის მიერ დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი ოქმის შედგენით);

გ) ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით (ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით ან შესაბამისი ოქმის შედგენით)

10. თუ საექსპერტო მომსახურება ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული გამოსაკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას/ნიმუშის აღებას, ექსპერტი ვალდებულია კვლევის დაწყებიდან გონივრულ ვადაში, ხოლო დაჩქარებული მომსახურების შემთხვევაში - მომართვიდან დაუყოვნებლივ შეუთანხმოს დამკვეთს ობიექტის დათვალიერების/კვლევის/ნიმუშის აღების თარიღი და დრო.

11. ექსპერტი, დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, უფლებამოსილია დამკვეთის მიერ 10 სამუშაო დღის, ხოლო დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების შემთხვევაში - 10 კალენდარული დღის ვადაში საექსპერტო მომსახურებისთვის აუცილებელი ობიექტის/მასალის წარმოუდგენლობის/არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, შეადგინოს აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ ან შეწყვიტოს ექსპერტიზის წარმოება.

12. განსაზღვრულ ვადაში საექსპერტო მომსახურების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დეპარტამენტის უფროსი ვალდებულია, დასაბუთებული წერილობითი ფორმით მიმართოს ბიუროს უფროსს ვადის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ. ბიუროს უფროსი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, განსაზღვრავს საექსპერტო კვლევის ვადას.

13. ამ წესის მე-12 პუნქტით დადგენილი ვადის შესახებ შესაბამისი დეპარტამენტის უფროსის მიერ დაუყოვნებლივ ეცნობება დამკვეთს მე-9 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.(13. 05. 2013. №87 §2).

დანართი №1

დამტკიცებულია

ბიუროს უფროსის 2013 წლის 30 აპრილის № 81 § 2 ბრძანებით

საექსპერტო მომსახურების სახეობები, რომელთა საექსპერტო კვლევის ვადა განისაზღვრება გონივრული ვადით

№	2012 წლის 8 მაისის №171 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ექსპერტიზისათვის განკუთვნილი კოდები	საექსპერტო მომსახურების ვადა
	148, 375, 376, 377, 378, 380, 381, 392, 393, 394, 395, 396, 397, 398,	მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განისაზღვრება საექსპერტო მომსახურების გონივრული ვადა

დანართი №2

დამტკიცებულია

ბიუროს უფროსის 2013 წლის 30 აპრილის № 81 § 2 ბრძანებით

(13. 11. 2015. №215 §12) (23. 12. 2015. №242 §30)

დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების შესრულების ვადები

#	2012 წლის 8 მაისის №171 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ექსპერტიზისათვის განკუთვნილი კოდები	საექსპერტო მომსახურების შესრულების ვადა
1	253 (სატარიფო ღირებულების განსაზღვრის შემთხვევაში), 254 (სატარიფო ღირებულების განსაზღვრის შემთხვევაში).	საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენიდან ან ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული ობიექტის კვლევა/დათვალიერებიდან და ნიმუშის აღებიდან 1 სამუშაო დღე.
2	1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 115, 116, 118, 120, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 131, 132, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 170, 172, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 187, 188, 189, 190, 193, 194, 195, 196, 197, 198, 200, 201, 202, 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 210, 211, 212, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 223, 224, 226, 227, 228, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 241, 244, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253 (საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შემთხვევაში), 254 (საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შემთხვევაში), 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266, 267, 268, 269, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276, 277, 278, 279, 280, 281, 282, 283, 284, 285, 287, 288, 289, 290, 291, 292, 293, 296, 297, 298, 299, 303, 304, 307, 308, 309, 310, 311, 312, 313, 314, 315, 316, 317, 318, 319, 320, 321, 322, 323, 324, 325, 326, 327, 328, 329, 330, 331, 332, 333, 334, 335, 336, 337, 338, 339, 340, 341, 342, 343, 344, 345, 346, 347, 348, 349, 350, 351, 352, 353, 354, 355, 356, 357, 358, 359, 360, 361,	საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენიდან, ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული ობიექტის კვლევა/დათვალიერებიდან და ნიმუშის აღებიდან 5 სამუშაო დღე.

	362, 363, 364, 365, 366, 367, 369, 370, 371, 372, 379, 402, 403, 404, 405, 406, 407, 408, 409, 410, 412, 413, 414, 416, 417, 418, 425, 426, 427, 428, 429, 436	
3	114, 117, 119, 121, 130, 133, 134, 147, 192, 213, 238, 239, 240, 294, 295, 368 (თუ ნიმუშის ანალიზის მეთოდი არ ითვალისწინებს უფრო ხანგრძლივი კვლევის ვადას), 411, 415, 434	საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენიდან, ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული ობიექტის კვლევა/დათვალიერებიდან და ნიმუშის აღებიდან 10 სამუშაო დღე.

შენიშვნა: კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარებისას დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების შესრულების ვადები ამ დანართის მე-2 და მე-3 პუნქტებში გათვალისწინებული კოდებისათვის აითვლება დამოუკიდებლად ბიუროს ხვადასხვა დეპარტამენტებისათვის ცალ-ცალკე.

დანართი №3

დამტკიცებულია

ბიუროს უფროსის 2013 წლის 30 აპრილის № 81 § 2 ბრძანებით

საექსპერტო მომსახურების სახეობები, რომელთა მიმართ არ ხორციელდება დაჩქარებული საექსპერტო მომსახურება

	2012 წლის 8 მაისის №171 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ექსპერტიზისათვის განკუთვნილი კოდები
	148, 169, 171, 173, 186, 191, 199, 225, 242, 243, 245, 286, 300, 301, 302, 305, 306, 368, 373, 374, 375, 376, 377, 378, 380, 381, 382, 383, 384, 385, 386, 387, 388 389, 390, 391, 392, 393, 394, 395, 396, 397, 398,399, 400, 401, 419, 420, 421, 422, 423, 424, 430, 431, 432, 433

დანართი №4

დამტკიცებულია

ბიუროს უფროსის 2013 წლის 30 აპრილის № 81 § 2 ბრძანებით

საექსპერტო მომსახურების სახეობები, რომელთა საექსპერტო კვლევის ვადა განისაზღვრება 45 სამუშაო დღით

	2012 წლის 8 მაისის №171 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ექსპერტიზისათვის განკუთვნილი კოდები საექსპერტო მომსახურების შესრულების ვადა
	382, 399, 400, 401